



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 6
06/02/2019

6-06-4-201902061527



ქ. ცაგერის და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის სუბსიდირების შესახებ

აღინიშნა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრში რეგისტრირებული 783 აბონენტიდან 586 ფიზიკური პირი გამრიცხველიანებულია, მოსახლეობის დაბალ გადასახდისუნარიანობის გამო ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 მარტის №15 განკარგულების შესაბამისად ქ. ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობა განთავისუფლებულია ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადასახადისაგან და სუბსიდირება ხორციელდებოდა 2019 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერია ითვალისწინებს არსებულ გარემოებას და საკრებულოს წინაშე შემოდის წინადადებით ქ.ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის 586 გამრიცხველიანებულ აბონენტზე სუბსიდირების სახით ყოველთვიურად 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის წინადადება ქ. ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის საფასურის სუბსიდირების შესახებ.
2. წყლის საფასურის გადახდა მოხდეს ყოველ ერთ აბონენტზე სუბსიდირების სახით გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრის

მიერ წარმოდგენილი აბონენტთა სიის მიხედვით, ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გათვალისწინებით.

3. მოსახლეობის დაბალ გადახდისუნარიანობის გამო სოციალურად დაუცველ 20 ოჯახის საფასურის სრულად გადახდა მოახდინოს მუნიციპალიტეტის მერიამ.

4. ეთხოვოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ცაგერის სერვის ცენტრს აბონენტებზე გაცემულ წყლის ქვითრებში ასახოს მთლიანად გადასახდელი თანხის ოდენობა და ამ განკარგულებით დადგენილი სუბსიდიის ოდენობა და საბოლოოდ ცალკეული აბონენტების მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობა.

5. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბუჯეტი სამსახურს გაერთიანებული წყალმომარაგების ცაგერის სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოახდინოს სათანადო ანგარიშსწორება.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2018 წლის 7 მარტის №16 განკარგულება.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69)

8. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო